საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/229
2023 წლის 15 ივნისი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 14 მარტის №1-1/107 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 14 მარტის №1-1/107 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 14/03/2022წ., 040110030.22.024.016733) შევიდეს ცვლილება და მეორე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ ბრძანების ამოქმედებამდე დარღვეული საპრივატიზებო/სარგებლობაში გადაცემის პირობის (გარდა სარგებლობის საფასურის გადახდის პირობისა) შესასრულებლად პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოს მიერ ამ ბრძანების ამოქმედების შემდგომ განსაზღვრული დამატებითი ვადა არ უნდა აღემატებოდეს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 წელს, ხოლო თუ სახელმწიფო ქონება პრივატიზებულია სამედიცინო პროფილით ფუნქციონირების პირობით – 2023 წლის 19 ივლისს. თუკი პრივატიზების განმახორციელებელი/სარგებლობის უფლებით გადამცემი ორგანოს მიერ ამ ბრძანების ამოქმედებამდე განსაზღვრულია ამ პუნქტით დადგენილზე ხანგრძლივი დარღვევის აღმოფხვრის ვადა, დამატებითი ვადა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი შეტყობინებით განსაზღვრულ ვადას.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი — **ლევან დავითაშვილი**